საქმე № 1გ/98

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ

29 იანვარი, 2015 წელი ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გელა ბადრიაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე ბრალდებულ **თ. გ.-ს** ადვოკატების: **მ. ფ.-ს** და **ი. ბ.-ს** საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი გოგინაშვილის 2015 წლის 26 იანვრის განჩინებაზე, რომლითაც დაუშვებლად იქნა ცნობილი დაცვის მხარის შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეული პატიმრობის გირაოთი შეცვლის შესახებ,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:
აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველო (ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის) იძიებს სისხლის სამართლის №XXXXXXXXXXXX საქმეს, **თ. გ.-ს** მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვის ფაქტზე.

აღნიშნული საქმის გამოძიების ფარგლებში, 2015 წლის 16 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორმა ზაზა ქორიძემ და ითხოვა ბრალდებულ **თ. გ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე არსენ კალატოზიშვილის 2015 წლის 16 იანვრის განჩინებით, დაკმაყოფილდა პროკურორ ზაზა ქორიძის შუამდგომლობა და ბრალდებულ **თ. გ.-ს** აღკვეთის ღონისძიების სახით შეერჩა პატიმრობა.

2015 წლის 26 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართეს ბრალდებულმა **თ. გ.-მ** და მისმა ადვოკატებმა: **მ. ფ.-მ** და **ი. ბ.-მ** და ითხოვეს ბრალდებულ **თ. გ.-ს** მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გირაოთი შეცვლა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი გოგინაშვილის 2015 წლის 26 იანვრის განჩინებით, დაცვის მხარის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

*აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრეს ბრალდებულ **თ. გ.-ს** ადვოკატებმა: **მ. ფ.-ს** და **ი. ბ.-მ** და მოითხოვეს მოსამართლე გიორგი გოგინაშვილის 2015 წლის 26 იანვრის განჩინების გაუქმება, **თ. გ.-ს** მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გირაოთი შეცვლა ან ალტერნატივის სახით, აღნიშნული განჩინების გაუქმება და პირველი ინსტანციისთვის შუამდგომლობის განსახილველად გადაგზავნა.*

*საჩივარში მითითებულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება უკანონო და დაუსაბუთებელია. ბრალდებულმა **თ. გ.-მ** აღიარა ჩადენილი დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან, დეტალურად მიუთითა ნარკოტიკული საშუალების გამომგზავნ პირზე და ამით გაუადვილა გამოძიება შესაბამის ორგანოს. აღნიშნული წარმოადგენს ახალ, არსებით გარემოებას. სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენისას არ იყო ცნობილი, რომ მას სურდა გამოძიებასთან თანამშრომლობა. ახალმა გარემოებამ კი რადიკალურად შეცვალა სიტუაცია, რადგან ასეთ შემთხვევაში, გამოძიებას და სასამართლოს აღარ რჩება ეჭვი, რომ ბრალდებული ხელს შეუშლის გამოძიებას, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას. ბრალდების მხარე არ არის წინააღმდეგი, რომ **თ. გ.-ს** შეეცვალოს აღკვეთის ღონისძიება, რაც პატიმრობის შეცვლის უპირობო საფუძველია, თუმცა სასამართლო არ დაინტერესდა ბრალდების მხარის პოზიციით. აქედან გამომდინარე, ბრალდებულს მოესპო სამართლიანი სასამართლოს უფლება და უფლება იმისა, რომ მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხი ახალი გარემოების არსებობის შემთხვევაში, განიხილოს სასამართლომ. შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ შედგენილი იყო სსსკ-ის 206-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით და წარდგენილი სასამართლოში გამოძიების ადგილის მიხედვით. ბრალდებული ეთანხმებოდა შუამდგომლობას, მიეთითა ახალი არსებითი გარემოება, შუამდგომლობას დაერთო შესაბამისი მტკიცებულება - ბრალდებულის ჩვენება. რაც შეეხება ბრალდებულის პიროვნებას, **თ. გ.** მარტოხელა დედაა, სამი მცირეწლოვანი შვილის ერთადერთი მარჩენალი, რომელიც თავისი დაუფიქრებელი და გაუაზრებელი ნაბიჯის მსხვერპლი გახდა - არ უთხრა უარი მეგობარს იმ ამანათის მიღებაზე, რომელშიც ნარკოტიკული ნივთიერება იყო მოთავსებული (იხ.საჩივარი).*

სამოტივაციო ნაწილი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მასალები იძლევა საჩივარში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას და არ არსებობს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა.

*სასამართლომ განიხილა საჩივარი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, გააანალიზა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრებულ განჩინებასთან და შეფარდებულ აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ **საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს,** შემდეგ გარემოებათა გამო:*
*სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლომ შუამდგომლობის განხილვისას მიიჩნია, რომ **თ. გ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის განხილვისას, თბილისის საქალაქო სასამართლომ ფაქტობრივად განიხილა, გამოიკვლია და შეაფასა სასამართლო სხდომაზე მხარეთა მიერ მითითებული ყველა საკითხი, ხოლო ბრალდებულის მიერ აღიარებითი ჩვენების მიცემა და გამოძიებასთან თანამშრომლობა ვერ იქნება მიჩნეული ისეთი სახის ახალ გარემოებად, რაც გავლენას ახდენს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხზე.*

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, თითქოს ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება და გამოძიებასთან აქტიური თანამშრომლობა არ წარმოადგენს ახალ არსებით გარემოებას, რაც გავლენას ახდენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და შეცვლის მართლზომიერებაზე. პირიქით, სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდებულის გამოძიებასთან აქტიური თანამშრომლობა სწორედ ისეთი არსებითი ხასიათის ახალი გარემოებაა, რაც გავლენას ახდენს გამოსაყენებელი აღკვეთის ღონისძიების სახეზე და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გამოძიების წინაშე არსებული რისკების ინტენსივობის საკითხს. კერძოდ, კოლეგიის აზრით, როდესაც ბრალდებულმა დანაშაულის აღიარებით და აქტიური თანამშრომლობით ხელი შეუწყო გამოძიებას ნარკოტიკული საშუალების წარმომავლობის დადგენაში, დაასახელა მისი გამომგზავნი და მიუთითა დანაშაულთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი ყველა გარემოება, ამით მნიშვნელოვანწილად შემცირდა ის საფრთხე, რაც მომდინარეობდა ბრალდებულისგან მისთვის პატიმრობის შეფარდების დროს. ბრალდებულის ქმედება მეტყველებს იმაზე, რომ ის ახლა გაცილებით ნაკლებ საფრთხეს უქმნის გამოძიებას მტკიცებულებათა მოპოვებაში, არ არსებობს მათი განადგურების რისკი, ნაკლებია ახალი დანაშაულის ჩადენის და მიმალვის ალბათობა. შესაბამისად, ვინაიდან აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძვლები შეცვლილია, დღის წესრიგში დგება გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების რევიზირების და მისი მართლზომიერების საკითხის გადახედვა, რაც აუცილებლად უნდა დაზუსტდეს შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვისას, მხარეთა მონაწილეობით, შეჯიბრებითობის და მხარეთა თანასწორობის პრინციპების საფუძველზე, შუამდგომლობაში მითითებული გარემოებების სრულყოფილად შემოწმების გზით.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ დაცვის მხარის მიერ შუამდგომლობასა და საჩივარში მითითებული გარემოებები არის ის ახალი არსებითი ხასიათის გარემოებები, რაც არ გამოუკვლევია სასამართლოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე და რომელთა გამოკვლევასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების (შეცვლის) მართლზომიერებაზე. შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ საჩივარი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დაცვის მხარის შუამდგომლობა დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი და მოხდეს მისი განხილვა ზეპირი მოსმენით.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20, 97-98-ე, 206-ე, 207-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

*ბრალდებულ **თ. გ.-ს** ადვოკატების: **მ. ფ.-ს** და **ი. ბ.-ს** საჩივარი **დაკმაყოფილდეს;***

***გაუქმდეს** თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი გოგინაშვილის 2015 წლის 26 იანვრის განჩინება დაცვის მხარის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ;*

დასაშვებად იქნეს ცნობილი** ბრალდებულ **თ. გ.-ს** და მისი ადვოკატების 2015 წლის 26 იანვრის შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლასთან დაკავშირებით და თბილისის საქალაქო სასამართლოს **დაევალოს ზეპირი მოსმენით მისი განხილვა;

განჩინების ასლები გაეგზავნოს და გადაეცეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;

განჩინება საბოლოოა და ***არ საჩივრდება.***

მოსამართლე ***გელა ბადრიაშვილი***